ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 83

"5" მარტი 2021 წ.

ქ. თბილისი

დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით შპს „ოპტიმას" (ს/ნ 405160819) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით შპს „ოპტიმას" (ს/ნ 405160819) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის №21.234.272 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

„1.მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ოპტიმას" (ს/ნ 405160819) მიმართ, მისამართებზე - „ქ. თბილისში, მირცხულავას ქუჩა №9-11 (ს/კ. №01.13.04.017.105, №01.13.04.017.106, №01.13.04.017.107, №01.13.04.017.108, №01.13.04.017.109, №01.13.04.017.110), ნუცუბიძის ქუჩა №125 ა (ს/კ. №01.14.02.025.062) და ჭყონდიდელის ქუჩა №22 (ს/კ. №01.12.12.024.206, №01.12.12.024.207, №01.12.12.024.208, №01.12.12.024.209, №01.12.12.024.210, №01.12.12.024.211, №01.12.12.024.212, №01.12.12.024.213, №01.12.12.024.214, №01.12.12.024.215, №01.12.12.024.216, №01.12.12.024.217, №01.12.12.024.218, №01.12.12.024.219, №01.12.12.024.220, №01.12.12.024.221, №01.12.12.024.222, №01.12.12.024.223, №01.12.12.024.224) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №19.1388.1763, 25.12.2019) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება №433 27.12.2019) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:"

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა №22:

ა.ა) საპროექტო K2 საანგარიშო ფართი განისაზღვროს - 105,900 კვ.მ.-ით (ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში განსაზღვრული მიწის ნაკვეთის კანაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის უცვლელად კ2-4,9);

ა.ბ) ღია და დახურული ავტოსადგომების მინიმალური მაჩვენებელი (რაოდენობა) განისაზღვროს - 515 ერთეულით;

ა.გ) მიწისზედა სართულიანობის მაქსიმალური მაჩვენებელი (სართული) განისაზღვროს - 25 სართულით;

ა.დ) მიწისქვეშა სართულიანობის მინიმალური მაჩვენებელი (სართული) განისაზღვროს - (-1) სართულით;

ა.ე) მიჯნის ზონების მინიმალური მაჩვენებელი (მ.) განისაზღვროს - 7.00 მ-ით;

ა.ვ) სიმაღლის განსაზღვრის Y კოეფიციენტის მაჩვენებელი განისაზღვროს - Y=0,1-დან 0,3-მდე;

ა.ზ) საპროექტო ნორმატივი განისაზღვროს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №4-13 დადგენილების 2009 წლის 27 მარტის რედაქციით;

ა.თ) წარმოდგენილი დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების შეცვლა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ხელშემწყობი ღონისძიებებით გათვალისწინებული მაჩვენებლების ფარგლებში.

ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, მირცხულავას ქუჩა №9-11:

ბ.ა) საპროექტო K2 საანგარიშო ფართი განისაზღვროს - 158,150 კვ.მ.-ით (ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში განსაზღვრული მიწის ნაკვეთის კანაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის უცვლელად კ2-7,3);

ბ.ბ) ღია და დახურული ავტოსადგომების მინიმალური მაჩვენებელი (რაოდენობა) განისაზღვროს - 480 ერთეულით;

ბ.გ) მიწისზედა სართულიანობის მაქსიმალური მაჩვენებელი (სართული) განისაზღვროს - 25 სართულით;

ბ.დ) მიწისქვეშა სართულიანობის მინიმალური მაჩვენებელი (სართული) განისაზღვროს - (-1) სართულით;

ბ.ე) მიჯნის ზონების მინიმალური მაჩვენებელი (მ.) განისაზღვროს - 9.00 მ-ით;

ბ.ვ) სიმაღლის განსაზღვრის Y კოეფიციენტის მაჩვენებელი განისაზღვროს - Y=0,1-დან 0,2-მდე;

ბ.ზ) საპროექტო ნორმატივი განისაზღვროს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №4-13 დადგენილების 2009 წლის 27 მარტის რედაქციით;

ბ.თ) წარმოდგენილი დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების შეცვლა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ხელშემწყობი ღონისძიებებით გათვალისწინებული მაჩვენებლების ფარგლებში.

გ) მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №125ა:

გ.ა) საპროექტო K2 საანგარიშო ფართი განისაზღვროს - 66,050 კვ.მ.-ით (ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში განსაზღვრული მიწის ნაკვეთის კანაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის უცვლელად კ2-5,8);

გ.ბ) ღია და დახურული ავტოსადგომების მინიმალური მაჩვენებელი (რაოდენობა) განისაზღვროს - 220 ერთეულით;

გ.გ) მიწისზედა სართულიანობის მაქსიმალური მაჩვენებელი (სართული) ძოწენიძის ქუჩიდან განისაზღვროს - 25/26 სართულით, ხოლო ეზოს მხრიდან განისაზღვროს - 28/29 სართულით;

გ.დ) მიწისქვეშა სართულიანობის მინიმალური მაჩვენებელი (სართული) განისაზღვროს - (-1) სართულით;

გ.ე) მიჯნის ზონების მინიმალური მაჩვენებელი (მ.) განისაზღვროს - 1.00 მ-ით;

გ.ვ) სიმაღლის განსაზღვრის Y კოეფიციენტის მაჩვენებელი განისაზღვროს - Y=0,1-დან 0,4-მდე;

გ.ზ) საპროექტო ნორმატივი განისაზღვროს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების შესაბამისად;

გ.თ) წარმოდგენილი დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების შეცვლა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს ხელშემწყობი ღონისძიებებით გათვალისწინებული მაჩვენებლების ფარგლებში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ახვლედიანი**